საქართველოს კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ
2025 წელი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და მოიცავს სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმში (შემდგომ - მუზეუმი) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და მათზე რეაგირების, ასევე, დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ 2025 წლის ანგარიშს (მოიცავს 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდს).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მუზეუმში შემოსული 6 (ექვსი) განცხადებიდან, ინფორმაცია სრულად გაიცა ექვსივე შემთხვევაში.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში მუზეუმში არ შემოსულა.

საანგარიშო პერიოდის განმავალობაში მუზეუმში შემოსული განცხადებები განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო მუზეუმის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა - თამარ კოკოჩაშვილმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად, მუზეუმში უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა, მათ შორის, მუზეუმის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუზეუმი პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შენახვასა და გადაცემას საჯარო მონაცემთა ბაზების მეშვეობით არ ახორციელებს. რაც შეეხება მუზეუმის თანამშრომლების მიერ, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება და მონაცემები ინახება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით. მუზეუმში პერსონალური მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

მუზეუმის თანამშრომლების მხრიდან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას მუზეუმი ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან მუზეუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა. ამავე პერიოდში, მუზეუმს არ ჰქონია ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები და არ დაჰკისრებია მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა.

ნიკა ახალბედაშვილი
სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

LEPL - The Georgian National Museum

Digitally signed by LEPL - The Georgian National Museum
Date: 2025.12.09 11:35:23 +04'00'